

ლება დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

- მახვილისა და ინტონაციის,
- მყოფად უსრულის,
- ზმნისწინების
- ინტერფერენციისა და სხვა საკითხები.

განსაკუთრებით საშური და საინტერესოა ინტერფერენციის საკითხების კვლევა მეგრულში, რადგან სამეგრელოს სხვადასხვა არეალისა და მეგრულ-ქართული მეტყველებათა შერევა იძლევა უხვ მასალას ამგვარი კვლევისთვის.

იზაბელა ქობალავა

ლეო კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. „ცოტნე“ თბ., 2010, 544 გვ. რედაქტორი პროფ. მ. სუხიშვილი.

2010 წლის დამლევს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ჰუმანიტარული განხრის სტუდენტმა ახალგაზრდობამ მიიღო ყველაზე დიდტანიანი სახელმძღვანელო (იგულისხმება წიგნის დიდი ზომის ფორმატიც და გვერდობრივი მოცულობაც – 540 გვ.), რაც კი აქამდე არსებულ ქართულ ენაზე სინტაქსის დარგში. სახელმძღვანელოს ავტორი – აწ განსვენებული პროფესორი ლეო კვაჭაძე – საგანგებო რეკომენდაციებს არ საჭიროებს. მან მთელი (საბედნიეროდ, დღევრძელი) სიცოცხლე ქართული ენის გრამატიკის ამ რთული და საინტერესო დარგის სახელმძღვანელოს შექმნა-შეესებას შეაღია და დროის ვერტიკალზე საუკუნოვანი ნიშნული ამ შთამაგონებელი მოცულობის ტომით აღბეჭდა.

[ისტორიისათვის: სინტაქსის სახელმძღვანელო ლეო კვაჭაძისა პირველად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (1956 წ.) გამოვიდა (ორიოდ წელიწადში მას მოჰყვა რამდენადმე გადამუშავებული გამოცემა). წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს სახელმძღვანელო განკუთვნილი იყო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის და მომზადდა ამ სასწავლებელთა ქართული ენის პროგრამის მიხედვით (ეს პროგრამა კი დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ).

ავტორის წინასიტყვაობა გვამცნობს იმასაც, რომ სახელმძღვანელო „დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკის (II ნაწ., სინტაქსი, 1948 წ.) უფრო ვრცლად და სრულად გადმოცემას“ და რომ მხოლოდ „საკითხების ერთი ნაწილია შიგ სრულიად ახალი“. მაშასადამე, თვით ავტორისავე ცნობით, ეს სახელმძღვანელო სრულიად დამოუკიდებელი, გავლენისაგან მთლად თავისუფალი არ არის. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ათწლეულების განმავლობაში

დღემდე ჩვენს საშუალო სკოლაში ქართული ენის სინტაქსი ტრადიციულად ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის ერთობლივი სახელმძღვანელოთი ისწავლება].

ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოს პირველი ორი გამოცემა (1956, 1958 წლებსა) „ქართული ენის სინტაქსად“ იწოდებოდა, 1966 წლიდან კი სათაურს მსაზღვრელად დაემატა სიტყვა „თანამედროვე“ და ამ სახით იგი წიგნის ბაზარზე გამოდიოდა თითქმის ყოველ დეკადაში ერთხელ (1966, 1977, 1988, 1996). 2010 წლის დამლევს გამოვიდა ყველაზე დიდი მოცულობის სახელმძღვანელო, რომელიც აქამდე გამოქვეყნებულ სხვა გამოცემებთან შედარებით ყველაზე სრულია და, უნდა ვიგულისხმოთ, სისტემატურიც. წიგნზე დართული ხუთი ბოლოსიტყვაობა სხვადასხვა გამოცემისათვის ნათლად მიგვანიშნებს, რომ უფრო სრულყოფილ გამოცემებად თავად ავტორი სწორედ 1966 წლიდან მოყოლებულ გამოცემებს თვლის. ეს აზრი გამოკრთება 1966 წლით დათარიღებულ ბოლოსიტყვაობაში:

„წინამდებარე წიგნი „ქართული ენის სინტაქსისაგან“ არსებითად განსხვავდება. აქ თეორიულ მასალას არ ახლავს სავარჯიშოები და არც სასვენ ნიშანთა ხმარების წესებს აქვს დათმობილი ცალკე პარაგრაფები (წინადადების ტიპების განხილვისას); მოიცავს საკითხთა უფრო ფართო წრეს, თანაც საკითხები განხილულია უფრო ვრცლად, ღრმად და საფუძვლიანად... უცვლელად აქ მხოლოდ მცირე ნაწილი თუ არის გადმოსული, ასე რომ წინამდებარე სახელმძღვანელო, საერთოდ ახლად არის დაწერილი“ (აქაც და ზემოთაც ხაზგასმა ჩვენია. შ. ა.).

ამ ავტორისეულ თვითშეფასებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2010 წლამდე გამოსული გამოცემები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან როგორც საერთო სტრუქტურული ორგანიზაციით, ისე კონკრეტული შინაარსით (ორივეს, თავის მხრივ, ატყვია რუსული გრამატიკული ლიტერატურის კვალიც). მათგან აშკარად განსხვავდება მეცნიერის ხელიდან უკანასკნელად გამოსული 2010 წლის გამოცემა, რომლის ჰიპოტაქსური ნაწილი მდიდარია სქემებით, რაც საგრძნობლად გაუადვილებს სტუდენტებს ქვეწყობილ წინადადებათა რთული მექანიზმების სწორ აღქმას და თვალსაჩინოს გახდის მათ განსხვავებულ აგებულებას.

დამოწმებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2010 წლის გამოცემაში ახალი ლიტერატურა (1960-იანი წლების მომდევნო პერიოდისა) ნაკლებად გვხვდება. სქოლიოში ძირითადად რჩება ადრევე დამოწმებული ქართული და რუსული სპეციალური ლიტერატურა. ამავე დროს შეინიშნება ერთგვარი ტერმინოლოგიური გადახალისება. მაგალითად, ადრინდელ გამოცემებში გამოყენებული „სიტყვა-

თა რიგი“ უალტერნატივოდ იხმარებოდა, ბოლო გამოცემაში კი მისი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობის „სიტყვათგანლაგებამ“ დაიკავა, რაც 70-80-იან წლებში გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურის ერთგვარ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ავტორმა საჭიროდ ჩათვალა აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებით სტატისტიკურ მონაცემთა (თუნდაც შეზღუდულად) მომარჯვებაც, რაც სავსებით გამართლებულად და წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია. საგანგებო აღნიშვნის ღირსია რთულ წინადადებებსა თუ გაბმულ მეტყველებასთან დაკავშირებით რიგი საკითხის მეტი დამუშავება და დეტალიზაცია, აგრეთვე ნაშრომის გამდიდრება-გამრავალფეროვნება საილუსტრაციო მასალით.

ასეთი დიდი მოცულობის წიგნში კორექტურული შეცდომები მოულოდნელი არ უნდა იყოს, მაგრამ დასანანია, როცა კორექტურული შეცდომა შეინიშნება დამოწმებული მეცნიერის გვარში, ისიც – რამდენჯერმე (იგულისხმება გვარი *შარაშენიძე* ნაცვლად *შარაძენიძისა*).

შეიძლება ითქვას, რომ „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ ავტორი მთელი სიცოცხლე მიისწრაფოდა თავისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის სრულყოფისაკენ. სამწუხაროდ, ბოლო წარმატებული ცდა აღმოჩნდა ავტორის „გედის სიმღერაც“: წიგნის ბოლო გამოცემის გამოქვეყნებიდან სულ ცოტა ხანში მხცოვანი მეცნიერი გარდაიცვალა.

შუქია აფრიდონიძე

ლეილა გეგუჩაძე. ქართული ენა. სინტაქსის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 404 გვ., 2010.

ლეილა გეგუჩაძის ნაშრომი „ქართული ენა. სინტაქსის საკითხები“ წარმოადგენს ავტორის 1990-იანი წლებიდან ნაკვეთებით (I-VII) გამოშვებული ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსის ერთი, თემატურად გაერთიანებული ნაწილის გადამუშავებულ ვარიანტს. იგი მხოლოდ და მთლიანად *სინტაქსის* საკითხებს ეძღვნება.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაშრომი, ისევე როგორც მისი წინამორბედი გამოცემა, არსებითად სასწავლო ხასიათისაა. თავიდან იგი „აბიტურიენტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოდიოდა, მაგრამ წიგნის პროფესიონალურმა დონემ ის დიდად გამოსადეგი გახადა ბაკალავრიატის დაწყებითი კურსების სტუდენტთათვისაც. განსაკუთრებით ეს ითქმის სარეცენზიო ნაშრომის დამავგირგვინებელ ნაწილზე, რომელიც *ჰიპოტაქსის* საკითხებს ეძღვნება, და ეს თემატიკა წლების მანძილზე იყო ავტორის კვლევითი ინტერესის საგანი.

ნაშრომი შედგება რამდენიმე ძირითადი თემისაგან, რომლებიც ლოგიკური თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი, დაწყებული უმცი-